



କାର୍ତ୍ତକାବ୍ଦୀ ଶ୍ରୀମତୀଫ୍ଲୋର୍ପିନ୍ହୁଲ୍ମାର ପ୍ରସଂଗକୁଳୀ

2  
2021



## ქარიაში

\* \* \*

წმიდა ხარ და სხივმოსილი  
შენი მსგავსი არვინ არის  
სული კრთის შენს სიმშვიდეში  
ვით ნიავი, ვითა ჩქამი.  
შენი მადლი ცის ნამივით  
მაცოცხლებლად ეწვიმება.  
სიყვარული? შენზე მეტად  
ჩვენთვის არვის ემეტება  
ვინმემ სიცოცხლე გაიღოს  
მე არავინ მეგულება.  
შეწირულხარ ზვარა კივით,  
ჯვარს გაზიფით ჩახვეულხარ  
ჩემი ცოდვის სიმძიმისგან  
მტევანივით დაწურულხარ.  
სიკვდილს შენთან რა ხელი აქვს,  
ალდგომილო გამარჯვებით  
ვინც შენს სახელს დაატარებს  
იმედი აქვთ გადარჩენის.

წმიდა ხარ და სხივმოსილი  
შენი მსგავსი არვინ არის.  
სული ხარობს სიმშვიდეში  
დახსნილი და კვლავ აღმდგარი.

\* \* \*

ახელე ზეცას, რა ცისფერია!  
ლაუგარდოვანი, ღრმა და უძირო  
უფალმა გახსნა ყველა ცის კარი  
ის დგას ჭიშკართან, გეძახის, გიხმობს.  
გათავისუფლდი ყველა ზრუნვისგან  
ამ წუთისოფლის მაცდურებაში  
დრო აღარ რჩება, ყური მიუგდე  
ის კვლავ ჭიშკართან გიხმობს, გეძახის.  
მიდი უშიშრად და დაეყრდენი,  
ვინც შენთვის ზრუნავს, ვინც მუდმივია.  
ძვირფასო სულო, იჩქარე მასთან  
წიგნი სიცოცხლის გადაშლილია. . .  
სტუმარი ბოლოს უკან ბრუნდება,

მშობლიურ სახლში კარი ღიაა,  
ქრისტე გეძახის, ახელე ზეცას,  
ახელე ზეცას, რა ცისფერია!




# მასწავლებელი სილამაზე



ს. ი.

ნახატი ი. პ.



ჰაერში საოცარი სურნელება ტრიალებდა, და ადამიანებიც ტკბებოდნენ ამ სურნელების ჩასუნთქვით. ისინი თითქოს ახალ სიცოცხლეს გრძნობდნენ თვითი სულში.

ყველაფერი იღვიძებდა ხანგრძლივი ზამთრის ძილის შემდგებ და გაზაფხულის დადგომას თვისებური სახარულით ხვდებოდა. ბაღები, რომლებიც თუთრ, ქათქათა კაბებში გამოწყობილი ყვენები, ესალმებოდნენ ნანატრ სითბოს კეთილსურნელებით.

გარკვეული დროის გასვლის შემდგებაშლის ხეს გასცვიდა ყვავილის ბოლო ფურცლები და ყველის აღვიზუებურების პატარა ნასკვმა, დაიწყო ზრდა.



ხე ცდილობდა გამოეკვება მომავალი ნაყოფები და ამიტომაც სულ უფრო ღრმად იდგამდა ფესვებს მიწაში. „როგორი გემრიელი წევნი აქვს ჩვენს დედა-ვაშლის ხეს!“ — წამოიძახა ერთ-ერთმა ვაშლის ნაყოფმა.

პო, ჩვენი დედა ყველაზე ლამაზია, — გამოქმაურა მეორე ნაყოფი. საღამოობით მწერები მოფრინდებოდნენ ხოლმე ხანდაზმულ ვაშლის ხესთან დამის გასათვეო აღვილის საპოვნელად.

ამ დროს ხე სასტუმროს პგავდა. და აი ერთხელაც, ყვავილობიდან ზუსტად 10 დღის შემდგებ, გვიან საღამოს მოფრინდა ლამაზი პეპელა.



შავ-თერი ფრთებით და ბრინჯაოს-ფერი ლაქებით ფრთათა ბოლობზე, ფაფუკი შარფით მხრებზე და ნაზი, თხელი ულაშით — მოხდენილი და დასტანილი. პეპელა ერთ-ერთ გაშლის ნაყოფს დასტრიალებდა თავს.

„რა შშენიერი ხარ!“ — წამოიძახა პატარამ. „სასიამოგნო მოსასმენია, ჩემო პატარა მეგობარო! მინდოდა ღამის გასათვი ადგილი მენახა.“ — „ახლავე, აი აქ, ჩემს გვერდით, შეგიძლია გაათიო ღამე.

ეს რბილი ფურცელი შენთვის შშენიერი საწოლი იქნება!“ — მიიპატიუა ვაშლის ნაყოფმა. „რა კეთილი ხარ! — გაუხარდა პეპელას. — მე ვიღებ შენს მიწვევას.“



უცებ მოხუცი ვაშლის ხის ხმა გაისმა: „არა, არა! ჩემო პატარა, არ მისცე მას ამისი უფლება! ეს პეპელა შენ ზიანს მოგიტანს.“

„პო, მაგრამ დედა, ის ხომ ასეთი ლამაზია და კეთილი,“ — შეეპასუხა დედას პატარა ვაშლის ნაყოფი. „ჩემო პატარა, ეს სიცრუეა, ნუ მოტყუედები მაამებელი სიტყვებით,“ — არწმუნებდა შვილს ვაშლის ხე.


„დედა, არა უშავს, დაიძინოს ერთი ღამე ჩემს გვერდით,“ — თავის სიტყვაზე იდგა ვაშლის ნაყოფი. თუმცა ვაშლის ხე ურყვები იყო: „არა, ნუ მისცემ მას ამის უფლებას!“



ამ დროს, პეპელა, რომელსაც შეეშინდა, რომ ხელიდან გაუშებდა ამ სასიამოგნო შესაძლებლობას, ნაზად შექმო თავისი ფრთებით პატარა ნაყოფს და უთხრა: „პატარა, ნუ უსმენ მას.

შენი დედა უკვე დაბერდა, თავისი დრო მოჭამა და არაფერი ესმის ახალგაზრდებისა! ნუ გეშინია ჩემი, აი ნახე, როგორი ფაფუკი ვარ. განა შეძლებს ასეთი ნაზი ქმნილება რაიმე ზიანი მოგაყენოს?“

„მართლაც, — გაიფიქრა ვაშლის ნაყოფმა და თანხმობის ნიშნად თავი დაიქნია. პეპელა დაეშვა მის გვერდით და ალერსიანად მოეფერა პატარას: „უსეც ასე. ძილი ნებისა პატარა! კეთილ სიზმრებს გისურვებ!“



სიბნელე ჩამოწევა დედამიწაზე. შემოქმედმა ღამე იმისათვის დააწესა, რომ დღისით მუშაობის შემდეგ დავისვენოთ და აღვიდგინოთ დახარჯული ძალები. მაგრამ მას შემდეგ, რაც დედამიწაზე ცოდვა გაძეფდა, ღამის სიბნელეს არცოუ იშვიათად იყენებენ დაცემული ანგელოზის (სატანის) მიმღერები თავისი ბოროტი საქმეებისათვის.

დილით, როდესაც მზემ ამოსვლა დაიწყო ჰორიზონტზე, რათა გამოეფხიზლებინა მძინარე არსებები, პატარა ვაშლის ნაყოფის გვერდითა ფურცელზეც დაეცა სხივი, და გაანათა ნაძცეცა ბურთულები, რომლებიც პეპელაშ დატოვა იქ.



როდესაც პატარაშ თვალი გაახილა, პეპელა იქ აღარ იყო. „ეს ბურთულები ალბათ სამახსოვროდ დამიტოვა, რომ არ მოვიწყინო, — გაიფიქრა მან. — რა კეთილი საქციელია მისი მხრიდან!“


გვიდა კიდევ 10 დღე. ერთ-ერთი ბურთულა გასკდა და იქიდან თეთრი-მოწვანო ფერის მატლი ამოძერა. ის თავხედურად მიცოცდა ვაშლის ნაყოფთან და მოაკბიჩა პატარა რბილობი.

„არა, არა! მოიცავე! ნუ ცდილობ ჩემს შეჭმას, ძალიან მტკიცა!“ — დაიყვირა ვაშლის ნაყოფმა, მაგრამ მატლი კრუ იყო.



იგი უსიტყვოდ აგრძელებდა პატარა ვაშლის ნაყოფის ჭაბას და სიამოვნებისგან თავს იქნევდა, როდესაც თავისი პატარა, მოძრავი ენით სვლებდა მომჟავო წვენს.

მალე მუხლუხომ ნაყოფის გულს მიაღწია და ვაშლი, რომელმაც ვეღარ გაუძლო ტკივილს, მიწაზე ჩამოვარდა. მისი სიცოცხლე გაწედა იმის გამო, რომ არ მოუშძინა თავის დედას, ვაშლის ხეს.



რაჯ უფრო პატიოსნია  
აფაშინი, მით უფრო  
ნაკლებად ფიქრობს  
იქაწე, რომ სხვები  
სხვანაირები იქნებიან  
რუსონი

ცოდვაც  
მიმზიდველი ჩანს,  
მაგრამ ის, ვინც  
ნებდება მას და  
უღებს თავის  
გულს, ისევე  
არაგონივრულად  
იქცევა, როგორც  
პატარა ვაშლის  
ნაყოფი.  
იმისათვის, რომ  
არ დაიღუპო,  
უნდა მოერიდო,  
გაექცე ცოდვას!

ერთ დღეს კი უთხრა ცხენს, თუ არ იმუშავებ, გაგყიდიო, მაგრამ ამ სიტყვებმაც კი არ გამოიღო იოტისოდენა შედეგი, მაიტომ ფურმერი დანებდა და იმ საქმეს სჯერდებოდა, რასაც ცხენი აკეთებდა. ლორებით ნაშოვნი ფულით ახალი გუთანი იყიდა, დანარჩენი ფულით სიმინდი, კარტოფილი და ხახვი, რათა დაეთვა და შემდეგ, როცა მოსავალს აიღებდა, ცოტა გაყიდა და დანარჩენი თავისთვის, ფრინველებისა თუ ცხოველებისთვის დაეტოვებინა.

ერთ დღეს, როცა სამუშაოდ წავიდა, გოჭი ტოტოც თან წაიყვანა. ეს უკვე ჩეული წესი იყო, უიმისოდ აღარ მიღიოდა მინდორში. იმ დღეს გაიცნო თავისი პირველი და ძალზე უცნაური მეგობარი გვირილა. მოხუცი მუშაობდა, ის კი დროს სეტიალსა და ბალასის ჭამაში ატარებდა. როცა დაიღალა, მოხერხებული ადგილი მოქებნა და წამოწვა. იფიქრა, ცოტას დაძინებდა, მაგრამ საიდანლაც წრიპინა ხმა შემოესმა, რომელიც მთელი ძალით ყვიროდა. ხმა ახლოდან ისმოდა. ტოტო წამოდგა და ოვალიერება დაიწყო. მარჯვნივ გაიხედა, არავინ იყო, არც მარცხნივ, ამიტომ გაიფიქრა, მომეჩვნაო და ისვე წამოწვა. მაღლე ისვე იგივე ხმა შემოესმა. რაღაც არსება მთელი ძალით ყვიროდა და ამბობდა: „მხოლოდ ბრმას თუ შეუძლია ჩემზე დაჯდომა. სხვა ადგილი მონახე, ვერ ხედავ, რომ აქ მე ვარ?! ცოტაც და მომკლავ, ადექი, სხვა ადგილი შეარჩიე დასაწოლად.“ ტოტო წამოდგა, ისვე მიმოიხედა, პორიზონტზე არავინ ჩანდა, შემდეგ მაღლა აიხედა, არც იქ იყო არავინ. პატარა, წრიპინა ხმა კი არ ჩერდებოდა, გაცხარებული ლაპარაკობდა: „როგორ შეიძლება, ვერ შემნიშვნო, აქ ხომ მე ვარ. მხოლოდ ბრმას თუ შეუძლო, ჩემთვის ზედ გადავვლო. შენ კი აქ გაწექი და ლამის გამჭყლიტე.“ გოჭუნა კიდევ აპირებდა დაწოლას, მაგრამ გვარილამ მთელი ხმით დაუყვირა:

— დაბლა დაიხედე, შე უტვინო, აქეთ ვარ!

როგორც იქნა ტოტომ შემთხვევით დაბლა დაიხედა და ძალიან პატარა ყვავილი დაინახა, რომელიც გაბრაზებული სახით რაღაცას ეწრიპინებოდა მას. ყური კარგად დაუგდო, მიწვდა, რომ ის ეძახდა, მაგრამ რა უნდოდა, კარგად არ ეძმოდა. ბოლოს როგორც იქნა, ძლიერ გაიგო პატარა ყვავილის სიტყვები. ძალიან შერცხვა, რომ ვერ დაინახა და მოუბოდიშა. არ უნდოდა მისი გაჭყლეტა. დარცხვენიშმა ადგილი შეიცვალა და იქ დაწვა. გვირილასთან ლაპარაკს ვერ ბერავდა, არ იცოდა, რა ეთქვა. გვირილაც გაბრაზებული იყო და სულაც არ აპირებდა უტვინო ცხოველთან საუბარს.

სახლში

დაბრუნებულმა

ტოტომ გადაწყვიტა, რომ

მოძღვნო დღეს იმ ადგილს ახლოს

ადარ გაეკარებოდა, მაგრამ მეორე დღეს

შემთხვევით მაინც ჩაუარა იმ ადგილს და

თვალი ყვაილის გან გაექცა. დაინახა, რომ

ყვაილი რაღაც უცნაურად გამოიყურებოდა, თავი

დაქარა და ფოთლებიც ჩამოეყარა. იმ დღეს ძალიან

ცხელი დღე იდგა, მზე განსაკუთრებულად აცხუნებდა.

გოჭუნა ტოტო მაშინვე პატრონის გაქცა და იქვე, პატარა

სათლით დადგმული წყლის წადება სცადა, რომელიც მისთვის

გაემზადებინა მოხუცს. გოჭუნას სულ ასე უსხამდა ხოლმე წყალს, რომ

როცა მოსწერებოდა, დაელია. სათლში ბევრი წყალი იყო, ამიტომ წადება

გაუჭირდა. სახელურს კბილები ჩაავლო და ყვავილისაკენ გასწია. როცა იქ მივიდა,

ძლივს სუნთქვადა. ცოტა წყალი დალია და სული რომ მოითქა, მერე ყვავილს დაუსხა.

პატარა არსებამ სიგრილე რომ იგრძნო, გამოცოცხლდა. ჩამოყრილი ფოთლები ისევ გაუსწორდა, წელ-

შიც გაიმართა და თეთრი ფურცლებიც გაშალა. ზემოთ რომ აიხედა, ის გოჭი დაინახა, გუშინ რომ ეჩხუბა.

იმ დღეს მისი სახე სიხარულით იყო სავსე და იღიმოდა. გოჭუნას დახმარებისთვის მაღლობა გადაუხადა. შენ

რომ არა, ნამდვილად დაგიღიღუპებოდი, ისეთი მწველი მშეგა. თან ახლად ამოვედი და საცმარისი ძალა არ მაქვს,

რომ სიცხეს გავუძლოო. გოჭუნა ბედნიერი იყო, რომ დღეს არ ეჩხუბნენ და იმანაც გაახარა, რომ ვიღაც მისით

მაღლიერი იყო. ასე კეთილად სხვები არ ელაპარაკებოდნენ და არც არავინ იყო მისით მაღლიერი.

— ხვალ თუ ისევ ცხელი დღე იქნება, წყალს კიდევ მოგიტან, რომ არ დაიღუპო. — უთხრა ტოტომ და წავიდა.

ის დღე სულ ღიღინებდა. უხაროდა, რომ მაღლობა გადაუხადეს და რომ კეთილი საქმე მოიმოქმედა. უერმა-

ში დაბრუნებისთანავე უამბო დედას ბოლო როი დღის ამბები. დედა ღორსს ტოტო ძალიან უყვარდა. ტო-

ტოსაც ყველასა და ყველაფერზე მეტად უყვარდა იგი. სულ უჯერებდა, დედის დარიგებას უსმენდა და

მის რჩევებს ითვალისწიებდა. ამიტომაც გაიზარდა კეთილი და მოსიყარულე გოჭუნა, მიუხედავად

იმისა, რომ მას სულ დასცინოდნენ და არავის უნდოდა მასთან თამაში. ამის გამო ტოტოს ისინი

მაინც არ ეჯურებოდა, პირიქით, ცდილობდა, მეტად შეეყარებინა და დაენახვებინა მათთვის,

რომ არ სძულდა ისინი.

მთელ გაზაფხულს ტოტო ყოველდღე მიდიოდა მინდონში და გვირილას წყალს უსხამ-

და. ამ დროის განმავლობაში ისინი დამეგობრდნენ. როცა მისი სახელი გაიგო, ძალი-

ან უცნაურად მოეჩვენა. ასეთი სახელი პარველად ესმოდა — „გვირილა“, თუმცა

სახელი არაფერს ცვლიდა, მთავარი ის იყო, რომ ოცნება აუხდა

და მეობარი შეიძინა.

ნახაფი თაკო მაისურაძე



# ნესამანი

## და გეხეზი

პ. ტ.

ნაყამანი იყო, დაუჯერა პატარა მსახურ გოგონას და გაემართა ელისესკნ იმ იმედით, რომ წინასწარმეტყველი გამოვიდოდა მის შესახვედრად, მოუხმობდა უფლის სახელს, ხელებს დაადებდა მის სხეულს — და ამის შემდეგ იგი განიწინდებოდა კეთრისგან. თუმცა ყველაფერი სხვანაირად მოხდა. ელისე არ გამოსულა მის შესახვედრად, მხოლოდ მსახური გამოგზავნა, რომელმაც უთხრა: „წადი, შვიდგზის იბანე იორდანეში და გაგიახლდება ხორცი, და გაწმედილი იქნებიო!“

ნაყამანი არ ელოდა ასეთ რამეს თუ მოისმენდა, მას თავისი განკურნება, საზეიმო მოვლენად წარმოედგინა! ამიტომ არც დაუმალავს თავისი აღმფოთება. „განა დამასკოს მდინარეები: აბანა და ფარფარი ისრაელის მთელს მდინარეებს არ სჯობია? განა იქ ვერ ვიპანებდი და ვერ გავსუფთავდებოდი?“ შეტრიალდა და უნდოდა წასვლა, მაგრამ მსახურებმა მოასწრეს მისი შეჩერება და უთხრეს: „ჩვენო მამავ, საძნელო რამე რომ მოეთხოვა შენგან მაგ წინასწარმეტყველს, ხომ შეასრულებდი? მით უფრო, უნდა შეასრულო, როცა გეუბნება: 'იბანე და განიწინდებიო.'“

როდესაც მოისმინა ეს ბრძნული სიტყვები, ნაყამანი მიხვდა, რომ სულ უბრალოდ გაბრაზდა. ადგა და გაემართა იორდანესკნ, და მდინარეში ჩასულმა გულისფანცქალით დაიწყო თვლა, რამდენჯერ ჩაყვითავდა წყალში: „ერთი, ორი, სამი. . .“ როდესაც შვიდი ჩაყვითავის შემდეგ ამოვიდა წყლიდან, და შექვედა თავის სხეულს. . . ნუთუ მართალია, ნუთუ განვიკურნე? ჰო! ნამდვილად ასე იყო, მას არ მოიჩვენებია, მის სხეულზე კეთრის ნასახიც აღარ იყო! ნაყამანი განიერნა წინასწარმეტყველის სიტყვის თანახმად! შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, როგორმა სიხარულმა მოიცავ სნეულებისაგან გატანჯული ადამიანი!

ნაყამანი დაბრუნდა ელისეს სახლიან და ხმამაღლა თქვა: „აპა, დაურწმუნდი, რომ მოულს ქვეყანაზე მხოლოდ ისრაელშია ღმერთი. ახლა მიიღე საჩუქრი შენი მსახურისგან!“ მაგრამ რამდენჯერაც არ სთხოვა ნაყამანმა საჩუქრის მიღება, ელისე არ დათანხმდა. მაშინ სარდალმა თქვა: „კარგი, მხოლოდ ერთს გთხოვ — გამატანე იმდენი მიწა, რამდენსაც წავიღებ. ეს მიწა გამახსენებს ისრაელის ღმერთს, რომელსაც ჩემი სიცოცხლის ბოლომდე ვცემ თაყვანს!“ ელისეს უარი არ უთქვამს და გაუშვა ის მშვიდობით, უხაროდა, რომ სირი-ელმა სარდალმა ირწმუნა უფალი.

ეფიქრობ, შენთვის ნაცნობია პატარა ტყველი გოგონას ისტორია, რომელიც ისრაელიდან იყო და ცხოვრობდა სირიელი სარდლის ნაყამანის სახლში. გახსოვთ, როგორი კეთილი რჩევა მისცა ამ გოგონამ მასა და მის მეუღლეს? სწორია! მან კეთრით დააგადებული ნაყამანი გააგზავნა წინასწარმეტყველის ელისესთან, რადგან სწამდა, რომ მისი მეშვეობით ისრაელის ღმერთი გამოაჯანმრთელებდა სირიელ მეომარს.

წარმოიდგინეთ, ისეთმა დიდმა სარდალმა, როგორიც





მართლაც კარგი ამბავია ბავშვებო, მაგრამ არის მასში ერთი სამწუხა-  
რო მხარე, რომელიც დაკავშირებულია წინასწარმეტყველის მსახურთან.  
ამ ადამიანს გეხაზი ერქვა. ბიბლიაში ნათქვამია, რომ გეხაზის ბევრი სას-  
წაული ჰქონდა ნანახი, რომლებიც ღმერთმა ელისეს ხელით მოახდინა. მას  
არა მხოლოდ ნანახი ჰქონდა ეს ყოველივე, ის  
თავად გემარებოდა წინასწარმეტყველს მსახუ-  
რებაში. ოუმცა გეხაზი არ იყო პატიოსანი. რო-  
ცა დაინახა, რომ ელისემ გაუშვა ნაყამანი და  
არაფერი არ გამოართვა, თავში უგანი აზრი  
მოუვიდა: „გავეკიდები და მე გამოვართმევ რა-  
მეს!“ ამ აზრით ფრთაშესხმული გეხაზი მარ-  
თლაც გამოეკიდა სარდალს. ნაყამანმა შენიშ-  
ნა ის, ჩამოვიდა ეტლიდან გაკვირვებული და  
შეეკითხა: „ხომ შშვიდობა არის?“

„მშვიდობა არის, — უპასუხა გეხაზიმ. —  
ჩემმა ბატონმა შემოგითვალა: ორი მეტობარი  
მეტვა და გთხოვ გამოუეზავნე მათ 36 კილო-  
გრამი ვერცხლი და ორი ხელი ტანსაცმელი.“ „კარგი! თუნდაც 72 კილო-  
გრამი წაიღე!“ — მიუჯო ნაყამანმა, და გაუხარდა, რომ რაღაცით მაინც  
მაღლობას გადაუხდიდა ელისეს.

გეხაზი კმაყოფილი იყო, რომ მოახერხა სირიელი სარდლის გაცურება.  
ტყუილით ნაშოვნი სიმდიდრე თრმა მსახურმა წაიღო დანიშნულების ად-  
გილას, მაგრამ როგორც კი ისინი ბორცვთან მივიღნენ გეხაზიმ გამოართვა  
ყველაფერი და თავის სახლში გადამალა. შემდეგ კი თითქოს არაფერი  
მომხდარაო დაბრუნდა თავის ბატონთან.

„საიდან მოდიხარ, გეხაზი?“ — ჰკითხა მას ელისემ. „არსად არ წავ-  
სულგარ,“ — იცრუა გეხაზიმ და ფიქრობდა, როგორც სირიელ სარდალს.

არადა, ღმერთის სტულს სიცრუე. მან გააფრთხილა ელისე იმის  
შესახებ, როგორ ცუდად მოექცა გეხაზი ნაყამანს და ახლა წინას-  
წარმეტყველის მოტყუებასაც ცდილობდა. ელისე ძალიან შეწუხ-  
და და უთხრა: „დაე, შენ და შენს შთამომავლობას გადაგედოთ  
ნაყამანის კეთრი საუკუნოდ.“ გეხაზი ელისესგან მთლიანად კეთ-  
რის გათეთრებული გამოვიდა, როგორც თოვლი.

ღმერთს სიმართლე და პატიოსნება უყვარს! ნაყამანი წრფე-  
ლი გულით ჩამოვიდა ისრაელიან წინასწარმეტყველთან და  
ღმერთმა არა მხოლოდ მისი სხეული არამედ გულიც განკურ-  
ნა. გეხაზიმ კი, მიუხედავად იმისა რომ ბავშვობიდანვე ესმოდა  
ამბები ისრაელის ღმერთზე, მაინც ვერ შეიცნო ის და ფიქრობ-  
და, რომ უფლის მოტყუებაც შესაძლებელი იყო.

ვიცი, რომ ჩვენც ხანდახან ძალიან გვინდა რაღაც მოვიტყუ-  
ოთ, არ ვთქვათ სიმართლე ბილომდე. მაგრამ ამ მაგალითით  
უნდა ვისწავლოთ, რომ ყოველთვის ვიყოთ პატიოსნები ადამი-  
ანების წინაშეც და ღმერთის წინაშეც!

### როგორ ფიქრობ?

1. შეიცვალა ნაყამანის ქცევა მას შემდეგ რაც განიკურნა?
2. რა დაწია თავს გეხაზიმ თავისი არაპატიოსანი საქციელით?
3. როგორები სურს, რომ გვიხილოს ღმერთმა?

ნაყამანისა და გეხაზის ისტორია შეგიძლია

წაიკითხო ბიბლიაში,

4 მეტეთა წიგნის მეზუთე თავში.

# ცეცხლმშენიან

გაგრძელება

ძვირფასო ბავშვებო, როგორც გახსოვთ, ჩვენ შევჩერდით იმაზე, რომ ჯორმა ჯარამ შეწყვიტა ოქროს ფულების გადმოყრა კუდის აწევისა და დაწრუწუნების დროს. ჩვენ ისიც ვთქვით, რომ პატრონებმა ძალიან აღარ შეიწუხეს თავი მიზეზების ძიებით, რადგან სხვა გაცილებით საინტერესო და სავარაუდოდ უკეთესი საქმე ნახეს, თუმცა მათგან განსხვავებით ის ადამიანები, რომლებიც მიჩვეულები იყვნენ ოქროს ფულებს, ვერ ისვენებდნენ. ადგნენ, მივიღნენ პატრონებთან და სთხოვეს, იქნებ ჩვენ მოგვცეთ მიზეზების ძიების უფლებაო. დევომ და ნაცარქექიამ მიუგეს: — კი ბატონო, ჰა ჯარა და ჰა თქვენ, ეცადეთ იქნებ რაიმე გაიგოთ და გაარკვიოთო. ამ უცნობმა ადამიანებმა, რომლებსაც უყვარდათ ფულები, ითაბირეს და გადაწყვიტეს, ცნობილი ჯოროლოგი ჩამოეყვანათ უცხოეთიდან. გაიკითხეს-გამოიკითხეს, ინტერნეტ-გვერდებიც მოიხილეს და გაიგეს, რომ იყო ერთი ცნობილი სპეციალისტი, ესპანეთში (რომელსაც პირობითად ხუანი ერქვა). მის ჩამოსაყვანად, თავიანთი კურიერი ჯუმბერი გაგზავნეს. მან ჩამოიყვანა ხუანი. ხუანს აეროპორტში ფულის მოყვარულთა საზოგადოების ერთ-ერთი თავკაცი დახვდა. ჯუმბერმა ბატონ ლადოს წარუდგინა ხუანი, რომელიც მოლოდინის საწინააღმდეგოდ ჩია ტანის კაცი აღმოჩნდა. ჩასხდნენ ისინი მანქანაში და გამოქროლდნენ კახეთისკენ. გზაში შეჩერდნენ, ისადილეს და გამოაგრძელეს გზა. მალევე ჩამოვიდნენ დანიშნულების ადგილზე.

ხუანი საქმის კაცი გამოდგა. მას შემდეგ რაც მიესალმა სასტუმროსთან შეკრებილ ფულის მოყვარულებს, უთხრა ლადოს, რომ ცოტას დავისვენებ და დღესვე ვნახავ ჯარას-ო. ერთი საათის შემდეგ ხუანი მიიყვანეს იმ ნაკვეთთან, სადაც ჯარა

ნახაფი თაკო მაისურაძე

ბალახობდა და სადაც ზემოთხსენებული მამონალოგებიც შეყრილიყვნენ. ხუანი კვლავ მიესალმა თავმოყრილ ხალხს და გასწია ჯარასკენ. მიუახლოვდა, გაუღიმა, თავზე ხელი გადაუსვა, შემდეგ მსუბუქად დაფხანა, შემდეგ წამოუტყაპუნა. აშკარად ჩანდა, რომ ხუანი მართლაც კარგი სპეციალისტი იყო, იმიტომ, რომ ჯარასაც თავი ჰქონდა აწეული და ხუანს უღიმოდა. იღიმებოდნენ სხვებიც.


იმას, რაც შემდეგ მოხდა, ვერავინ წარმოიდგენდა. მიუხედავად იმისა, რომ ჯარას არც უნარიგი ედგა და არც აღვირი ჰქონდა მოდებული, ხუანი მოულოდნელად ზურგზე მოახტა ჯორს. ჯორმა თითქოსდა იუკადრისა, ყალყზე დადგა, დაიფრუტუნა და ადგილიდან მოწყდა. მაყურებლები ლიმილს აგრძელებდნენ მანამდე, სანამ ჯარა და ხუანი თვალს არ მიეფარნენ.

დიდხანს ეძებდნენ მამონალოგები დაკარგულებს. იქაურობა ხომ გადაჩხრიკეს, სეროდანშიც ავიდნენ, ალაზანს გალმაც ეძებეს, გამოლმაც, ვერსად მიაგნეს. შეიქმნა საკმაოდ უხერხული სიტუაცია, ერთი რომ პატრონები აზარალეს, მეორე რომ თავად იზარალეს (მათ, დაკარგული ჯორისა და ადამიანის მოსაძებნად, არა მხოლოდ სახელმწიფო ორგანოები შეაწუხეს, არამედ კერძო სამძებრო სააგენტოებსაც მიმართეს), და მესამე მთავარი: მუქთა ოქროს მიღების შესაძლებლობა ხელიდან გამოეცალათ. რაღას იზავდნენ, გადაწყვიტეს მუქთა ოქროს მიღების სხვა წყაროები ეძებნათ. ისინი გულით გრძნობდნენ, რომ ასეთი წყაროები სადღაც უნდა არსებულიყო, მაგრამ ვინაიდან ამას მათ მხოლოდ გუმანი კარნახობდა, საჭირო იყო მეტი კონკრეტიკა. ამ კონკრეტიკის კონტურების მკაფიო მონახაზებისა და სავარაუდო ადგილმდებარეობის დასადგენად ისინი ადგნენ და მკითხავებთან და მჩხიბავებთან მივიღნენ. ამ შემთხვევაში ცუდი ის იყო, რომ ერთი ერთს ეუბნებოდა მათ, მეორე მეორეს, მესამე კიდევ მესამეს. იფიქრეს მამონალოგებმა, იფიქრეს და თავიანთ კურიერ ჯუმბერს მიაჩერდნენ. ის იყო მათი გაჭირვების ტალკვესი. სხვადასხვაგვარი გაჭირვებებისა თუ გამოუვალი მდგომარეობების დროს მიღებული გამოცდილება ჯუმბერს მართლაც გამოარჩევდა ჩვეულებრივი რიგითებისგან. ერთობლივ თათბირზე მიღებული გადაწყვეტილება ასეთი იყო: ჯუმბერი რიგ-რიგობით ჩავიდოდა მჩხიბავებისგან მითითებულ ადგილებზე, ჩატარებდა კვლევით სამუშაოებს, გადაიღებდა ფოტოებს და მიღებულ შედეგებს ჩამოიტანდა ადგილზე.

გაგრძელება იქნება



# კრისტონი



შეავსე კროსვორდი და  
გამოყოფილ უჯრებში  
წაიკითხავ სიტყვას,  
რომელიც ქრისტეს  
მიმღვრებს ჰქვიათ.



შეადგინა ს. პ.

- ნოეს შვილი, ქანაანის მამა (დაბ. 9:18).
- ნაყომის რძალი, ვინც გამოჰყოვა მას ისრაელში (რუთ. 1:15-19).
- ძალიან მდიდარი კაცი, მცხოვრები ფუცის ქვეყანაში (იობ. 1:1-3).
- ისრაელის ერთ-ერთი მსაჯული, ძლიერი კაცი (მსაჯ. 15:16-20).
- ქრისტეს ახალგაზრდა მიძღვარი, მოციქული პავლეს მუდმივი თანამგზავრი (საქ. 16:1-3; რომ. 16:21).
- ღმერთმა აღუთესა აბრაამს, რომ მას შეეძინებოდა ძე და ერები და ხალხთა მეფენი წარმოიშვებოდნენ მისგან (დაბ. 17:15-16, 19, 21).
- დავითის მეამბოხე ვაჟი, ვინც აჯანყდა მამის წინააღმდეგ (2 მეფ. 15:7-12).
- ბაბილონის მეფე, რომლის დროსაც დაინგრა იერუსალიმი და ტაძარი (4 მეფ. 25:8-10).
- იუდეის მეფის, ახაზის ვაჟი, რომელიც მეფედ აკურთხეს სიჭაბუქეში (4 მეფ. 11:21; 13:1).

## რჩევა

გადახაზე ასოები, რომლებიც არ  
გვხვდება ქართულ ანბანში და  
წაიკითხავ კარგ რჩევას.

F B L T G I S M R E C J T H N M M C A T N A F Y M R G B S Z I S  
B U T W P L G F J M U L M Z R S L E B U J H Y Y M Z R F S S  
Q J T U I h L O Z O L W T R R G B H T

# განკუცველობის ცდილობები

სტროფის თითოეული  
სტრიქონის დასაწყისს  
მოუნახე სწორი წინადაღება.



ეს  
დაგალება საკმაოდ  
ადვილია. პეტრუ, მოდი  
მე შეგუერთებ ნაწყვეტებს  
და წაფიკოთხავ ლექსს.



კარგი. ეს  
ლექსი გვკარნახობს  
უურნაღის თემას.

სიცარისონ ახასოების.

ოვთის შვილების კათილი თვისებაა,

3. სიმახთლე

1. პატიოსნება -

2. სახელი

ეს ხველი აღმოჩნდა.

4. პატიოსნება ან მეგობრობას



ეს სეფთა ბერი ახასებს ლმექის,



ნახატი ვ. დ.


# ცისარტყელა

დათუნასთან ერთად გააფერადე ცისარტყელა, ამისათვის  
გამოიყენე პალიტრაზე მოცემული ფერები. თითოეული ფერი  
დაიწევ მითითებული ისრიდან. გადაიტან რა ამ გზით კველა ასოს  
ცისარტყელაზე, წაიკითხავ მუხლს ბიძლიიდან.



შეადგინა და დახატა ი. ი.

## ცალიელი



გააფერადე  
სურათები და  
უპასუხე კითხვას:  
სად უნდა დაიღვას  
ანთებული  
სანთელი?  
(ლუკ. 11:33).

ნახატი ე. მ.

# 1. შეიძლება გადავთხინოთ თანააღმარებებს საქონლო ანებ ეამოწვევები დავალებები?

ტატა შ. უკრაინა

ღმერთმა თავის შეიძლებს მისცა მცნება მოიქცნენ სიყვარულით, ანუ ისე, რომ სხვები მათი ქცევით არ დაზიანდნენ. თუ ვინმე უარს ეუბნება ვინმეს მისგან გადააწერონ, მას საყვედურობენ იმის გამო, რომ ის ცუდი მეგობარია. მაგრამ, განა კარგ სამსახურს გაუწევ მათ, ვისაც გადააწერინებ საკონტროლოს? მე ვფიქრობ, რომ გადააწერის უფლების მიცემა — არასწორია. ამით შენ სკოლის მოსწავლეებში სიზარმაცეს უწყობ ხელს, და ისინი ვერ შეიძენენ ცოდნას, რომელიც ვევლას სჭირდება. შენ შეგიძლია უთხრა თანა კლასელებს შენი დამოკიდებულების შესახებ გადააწერისადმი და გააფრთხილო ისინი, რომ არ გადააწერინებ. თუმცა, თუ შესთავაზებ მათ დახმარებას ერთად მოემზადოთ საკონტროლო სამუშაოსთვის და მასთან ერთად იმეცადინებ — აი ეს იქნება ნამდვილი დახმარება და კეთილი საქციელი.

## 2. ვინ იყო ბალაში (ჩისხვთა ნიბნის 22 თავი) -

რინასცახეაუცველი თუ მაგითხავი

პეტრე მ. უკრაინა

ბალაამი არ ყოფილა ღმერთის წინასწარმეტყველი და არც იცნობდა ღმერთს, თუმცა იცოდა მისი არსებობის შესახებ. ღმერთის ცნობა ნიშნავს მის სიყვარულსა და მისი მცნებების დაცვას. ბალაამი იყო წარმართი მკითხვევი, რაღაც მისინის მსგავსი. ბიბლია ბალაამზე ლაპარაკობს, როგორც ცბიერ ადამიანზე, ვინც „უსამართლობის საზღაური შეიყვარა,“ ანუ ფული. ბალაკის მეშვეობით მან ისრაელიანები აცდუნა გასდგომოდნენ ღმერთს და თანახმა იყო საზღაურის ფასად დაწყეველა ისრაელი, თუმცა ამისი გაკეთება ვერ მოახერხა (23ეტ. 2:15-16; იუდ. 1:11; გცხ. 2:14; 2რჯ. 23:4-5), რადგან ღმერთმა არ მისცა ნება. ღმერთმა ბალაამი თავისი მიზნებისათვის გამოიყენა და გაუხსნა ისრაელის მომავლი. მან კურთხევის სიტყვები წარმოთქვა ისრაელიანებზე.

## 3. ჩამო ამობან ცოცვის ბოცოს "უმინს"?

ვლადისლავი მ. უკრაინა

ეს სიტყვა ჩვენთან ებრაული ენიდან მოვიდა. „ამინ“ ნიშნავს „დე იყოს ასე,“ „ჰეშმარიტად“ იესო ქრისტე იყენებდა ამ სიტყვას გამეორებით, როდესაც სურდა ხაზი გაესვა, რომ მისი სიტყვები უდავო იყო. ის ამ დროს ამბობდა: „ჰეშმარიტად, ჰეშმარიტად გეუბნებით თქვენ. . .“

როდესაც ჩვენ ჩვენი ან სხვისი ლოცვის ბოლოს ვამბობთ „ამინს,“ ეს ნიშნავს ჩვენს თანხმობას იმაზე, რაც ითქვა და ასევე ვედრებას ღმერთისადმი, რომ მისი წყალობით აღსრულდეს ყოველივე.

პასუხები მ. კ.

ნახატი ვ. დ.



# ე უ ლ ა ე ყ ე ს ე ს კ უ რ ე რ ე ვ უ რ ე მ ე

1835–1882

მამისაგან მან ლიტერატურული ნიჭი მიიღო,  
რომელიც სრულად გაიფურჩქნა მაშინ,  
როდესაც მან მთელი თვისი ენერგია ღმერთის  
მსახურებას მიუძღვნა.

## ბავშვობის წლები

დაღამდა. ღუმელის გვერდით სანთელი იწვის. შიშისმომგვრულაა კედლებზე გაკრული ირმის თავები, ლოსის რქები, დათვის ტყავები — ეს ყველაფერი ნადიობის მოყვარული მამის მონაპოვარია. წინაპრების პორტრეტები იყურებიან დროისაგან ფერგა-



1812 წლის სამამულო ომის გმირი, პორტრეტის ფავორი. ლითოგრაფია 1890 წ.



დ. ფავორი შვილების პორტრეტი.  
სავარაუდო ვაჭიმი და იულია

დასული მძიმე ჩარჩობიდან. შემამულის ძელებზე დაბალჭრიანი სახლის ოთახის კუთხებში ჩრდილები მიმალულან, რომლებიც მამაცურად ებრძვიან სანთლის ლიცლიცა შუქს. ქუჩიდან დავიდოვების ძალლების ყეფა ისმის, მიტოვებული ბაღის ზემოთ, ცაში გარსევლავები ციმციმებენ, ჭირს მათი დანახვა პატარა ფანჯრიდან. სიჩუმეში ძიძის მღერა ისმის, ის ასწორებს საწოლის კიდეებს და ჩურჩულებს: „იძინე, იძინე, პატარავ. . .“

იულიას არ უნდა რომ დაიძინოს. წევს და აჭყეტავს თვალებს. დერეფანში ნაბიჯების ხმა გაისმა. ეს მამა, რომელიც ქოშებს დააფლარტუნებს და სასტუმრო ოთახში მიდის. ძველ ჰუსარს, მკვირცხლ მეომარს არ



ფავორი შვილი სოფელ  
ზემო მაზაში,  
რუსეთი

სძინავს დამით. ზის სანთლის შუქზე და წერს ლექსებს, შემდეგ ხვეს ფურცელს და ისვრის კუთხში. დიდხანს, გაბრაზებული ტენის ჩიბუხს, შემდეგ ისვლექსებს უბრუნდება.

დილით კი — ტარარა, სად არის მოსაწყენი დრო — სტუმრებით იქსება იქაურობა. ისმის ზანზალავებისა და ფლორების ხმა. სახლის წინ ჩერდებიან მარხილები. ფართოდ გახსნილ კარში თავად მასპინძელი დგას და ყველა მოსულს გულში იკრავს.

იულიამ იცის, რომ სტუმრები - ცნობილი ადამიანები არიან: პოეტები, მწერლები, ომის გმირები. ზოგიერთი მათგანის სახელები მამის ბიბლიოთუებში არსებულ წიგნებზეა დაწერილი: პუშკინი, უკოვსკი, ვიაზემსკი. მამა, დენის დავითოვი, — ასევე გმირი და პოეტია. გოგონას უყვარს მისი მოვნებები იმის შესახებ, როგორ გრძოდა ის ფრანგებს 1812 წელს, როგორ მეთაურობდა პარტიზანულ რაზმს, როგორ მამაცურად იბრძოდა თავის ჰუსარებთან ერთად მოწინააღმდეგს.

## გზა ცოცხალი რწმენისაკენ

ბავშვობა. . . შორეული, ტკბილი სიზმარია. ის დამთავრდა და დადგა დრო ბრწყინვალე პეტერბურგისა: ხმაურიანი ბალები, მეგობრები, ნაცნობები. მათ შორის ფიქრთა ისეთი მპყრობელები, როგორებიც იყვნენ თეოდორ დოსტოევსკი და ნიკოლაი ლესკოვი, ცნობილი მწერლები და რუსული ლიტერატურის კლასიკოსები. დიდგვაროვანი ქალბატონის ცხოვრება ხმაურიანია, მაგრამ ერთხელაც . . .

„ძვირფასი იულია, გაიგეთ ახალი ამბავი? პეტერბურგში ჩამოდის ლორდი რედსტოკი, ამბობენ დიდი ორიგინალია! არ გინდათ მისი მოსმენა? კარგად გავერთობით. თოხშაბათს ის ქნიაჟნა ლიგუნების სახლში ისაუბრებს.“

ინგლისელი ლორდის ქადაგებებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდინა იულიაზე. ეკლესიაში ის ბავშვობიდანვე დადიოდა, ახსოვდა და იმეორებდა ლოკვებს, იცავდა დიდმარხებას, ესწრებოდა აღდგომისა და შობის დღესასწაულებს. თუმცა რწმენის სამყარო ყოველდღიური ცხოვრების პარალელურად არსებოდა. ეკლესიაში სიარული — ერთია, ის კი, რაც მის ზღურბლს მიღმაა, — მეორე. ლორდი რედსტოკის სიტყვების მიხედვით კი, სახარება არა მხოლოდ თეორია, არამედ მორწმუნეთა, ანუ იმ ადამიანების, რომლებმაც მეორედ შობა განიცადეს, ცხოვრების წესიც არის.



ლორდი რედსტოკი



ნიკოლაი ლესკოვი

ამ აღმოჩენამ გააოცა იულია და აიძულა გადაეხდა მთელი თავისი ცხოვრებისათვის. შემდგომმა ურთიერთობამ ლორდ-მქადაგებელთან და მის მიმდევრებთან ის გულწრფელ მონანიებამდე და უფლის პირად მხსნელად მიღებამდე მიიყვანა.

## ღმერთის მსახურება

მამისაგან იულიამ მიიღო ლიტერატურული ნიჭი, რომელიც სრულად გაიხსნა მაშინ, როდესაც მან მთელი თავისი ენერგია უფლის მსახურებას მიუძღვნა. იულია ზასეცკაა წერდა ქრისტიანულ ამბებსა და მოთხოვნებს. სწორედ მას ეკუთვნის ჯონ ბუნიანის წიგნების „პილიგრიმის მოგზაურობა“ და „სულიერი ომი“ და ლ. უოლესის რომანის „ბენ-გური-ს“ თარგმანები.



ხეფავ იქ.  
შორის, ვინრო  
კარაბჭეს?“ —  
ჰ. ბუნიანის  
„პილიგრიმის  
მოგზაურობის“  
ინგლისური  
გამოწვის  
ილუსტრაცია

იულია აქტიურად მონაწილეობდა სამისიონერო და საქველმოქმედო ღონისძიებებში: გახსნა დამის გასათვეო უსახლ-კაროებისათვის, სახარებას აერცელებდა უბრალო ხალხში, ქმარებოდა გასაჭირში მყოფებსა და სხეულებს.

ჭკვიანი, განათლებული და კეთილი, იგი სიხარულით უზიარებდა თავის რწმენას და შეზედულებებს ყველას, ვინც მზად იყო მისთვის მოესმინა. ლოსტოვესკი აღტაცებული იყო მისი რწმენითა და მტკიცებიზიციით და ხშირად იმეორებდა, რომ „პატივს სცემს ამ ქალში მის სიმამაცესა და გულწრფელებას.“

სიკვდილამდე მცირე ხნით ადრე იულია დენისის ასული პარიზში გაემგზავრა. იქ გარდაიცვალა და იქვე დაიკრძალა.

გაიგო რა იულიას გარდაცვალების ამბავი, ნ. ლესკოვი წერდა: „ის ჭკვიანი და განათლებული ქალი იყო, მისი მსგავსები იშვიათად არიან, ამავე დროს ის ძლიერი რწმენის მქონე ქრისტიანი იყო.“

# უჩივესლონ დესერტი

წვიმდა. დიდი დასვენების დროს იყო. მოსწავლეები იდგნენ დერეფანში, ზოგი ბუტერბრილს მიირთმევდა, ზოგი ნამცხვარს. გალიას პატარა პომიდორები ჰქონდა, რომლებიც მან თავისი დეიდის აგარაკზე მოკრიფა. მას ძალიან მოეწონა ეს ტკბილი მინი-ტომატები, რომელთა გამოზრდითაც მისი დეიდა იყო გატაცებული.

გალიამ რამოდენიმე მათგანი, თავის მეგობარს, ნინას გაუწოდა:

- გასინჯე, ისინი გაცილებით გემრიელია, ვიდრე მაღაზიაში ნაყიდები.
- მჯერა, მაღაზიებში ხომ ჯერაც მკვაწები მოაქვთ. საიდან გაქვს ისინი შენ?
- დეიდაჩემი თავად ზრდის აგარაკზე.

ნინამ გასინჯა და დაეთანხმა:

— მართლაც, ისინი ისეთი ტკბილია, რომ დესერტადაც შეიძლება მათი გამოყენება. ალბათ, უფრო სასარგებლოც იქნება, ვიდრე ტკბილეული.

— დეიდამ თქვა, რომ ისინი ძალიან კარგად იზრდება ქოთნებშიც. მეც მინდა, მომავალ წელს აივანზე დავრგა ასეთები, ერთი წითელი ფერის და ერთიც ყვითელი,

— წავიდა ოცნებებში გალია. — აუცილებელია მათი მიბმა სარჩე, ვინაიდან ძალზე მაღლები იზრდებიან. ამ მინი-ტომატებს მოსავალიც არაჩვეულებრივი აქვთ.

ხოლო თუ ერთ ბუჩქს ორ ფესვზე გაზრდი, მოსავალიც შესაბამისად გაიზრდება.

— ეს როგორ? — გაუკეირდა ნინას.

— მეც დამაინტერესა, როგორსაც დეიდამ მიამბო ამის შესახებ, და ამიტომაც დაგიმახსოვრე. ამისათვის საჭიროა, რომ თუსლები ერთმანეთისგან 1 სმ-ზე დათესო. როცა ნერგის დერო საკმაოდ დიდი იქნება, საჭიროა ბასრი დანით გადაუჭრა კანი ერთმანეთის გეერდით მდგარ ნერგებს — ერთმანეთისაკენ მიქცეული მხრიდან. განაჭერი სიგრძით 2-3 სმ უნდა იყოს.

შემდეგ ეს განაჭერი ადგილები უნდა მიაღო ერთმანეთს და მჭიდროდ შეკრა ფართო ლენტით. მიწაში ან დიდ ქოთანში (დაახლოებით

35 სმ დიამეტრის მქონე) გადარგვამდე, შედარებით მცირე

ზომის ნერგის წვერი განაჭერიდან 3-5 სმ-ს მოშორებით,

უნდა წაწყვიტო. გადარგვის დროს კი, მცენარე მი-

წით უნდა დაფარო ამ განაჭერამდე. ასეთი

ბუჩქი გაცილებით დიდი გამოდის ჩვეულებრივზე, თუმცა, მორწყვაც მეტი დასჭირება. მაგრამ მოსავალი უკეთესი იქნება.

რასაც შენ ყვები გალია, ძალიან საინ-

ტერესოა! დედას ვეტყვი და ვფიქრობ

ნებას მოცემს მეც გამოიზარდო მი-

ნი-პომიდორები ჩემს აივანზე. დღეს-

ვე ვთხოვ მას ამის შესახებ, —

თქვა, გალიას იდეით აღფრთო-

ვანებულმა ნინამ.

ტომატი —  
ერთწლიანი ანდა  
მრვალწლიანი  
მცენარეა  
ძალლეულენას  
გვარიდან  
ძალლეულენასებრთა  
ოჯახიდან, რომელიც  
მიეკუთვნება  
ბოსტნეულ  
კულტურებს.  
პომიდორებს უწოდებენ  
ტომატის ნაყოფებს, და  
ითვლება კენკროვანად.  
პომიდორი შეიძლება  
იჭამოს ახალიც,  
შემწარიც და  
მოშუშულიც.  
პომიდორს ძალიან  
ბერი საჭმლის  
მოსამზადებლად  
იყენებენ.



ნახატი ვ. დ.

# ტომატი

## ტომატების ისტორიიდან

ტომატის საშობლოდ ითვლება სამხრეთ ამერიკა, სადაც ის დღემდე გვხვდება კელური ფორმით. ევროპაში (ჯერ ეს-ჰანეთსა და პორტუგალიაში, შემდეგ კი სხვა ქვეყნებშიც) მოხვდა XVI საუკუნეში. სახლი „პომიდორი“ იტალიური წარმოშობისაა და თარგმანში ნიშნავს „ოქროს ვაშლს“, „ვინაიდან პირველი ტომატები ყვითელი ფერის იყო. აცტეკები მას „ტომატლს“ უწოდებდნენ, რაც ნიშნავს „მსხვილ კენკრას“, ეს სიტყვა გადააკეთეს ფრანგებმა და უწოდეს „ტომატი“. ტომატები დიდი ხნის მანძილზე საკვებად გამოუსადეგარად ითვლებოდა, შხამიანადაც კი, და მხოლოდ დეკორატიული დანიშნულებით აძრავლებდნენ, რომელსაც ლამაზი ნაყოფები ჰქონდა. საქართველოში ტომატები შედარებით გვიან გამოჩნდა.

დღეს, პომიდორი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კულტურაა, რომელიც თავისი კვებითი და დიეტური თვისებებით არის ცნობილი.

ე. ც.

## სანტიველი ფაქტები

პომიდორის  
შეუძლია  
გააუმჯობესოს  
გუნება-განნებობა,  
ვინაიდან მის  
შემადგენლობაში  
შედის  
სეროფონინი,  
რომელიც კარგი  
ანტიფერენციალი

უველავე ფილი  
პომიდორი, რომლის  
ნონაზ 2.9 კგ იყო,  
გამოზარდეს შედეგში.

პომიდორები გვირავენ მაქტერიე-ზისა და გაურებისაგან, ასევე აუმკონესებენ ნივთიერებათ რვლას. მათ შეუძლიათ აამაღლონ თრგა-ნიზმის შრომლისუნარისნობა და დაზიდან კანი ულფრაფიალეტური გამოხივებისგან.

პომიდორის უველავე  
პომულარული პროცესი  
— კატჩუპია. ეს მხოლოდიში  
უველავე წნობილი ხოუსი აფრე  
ელიტური ხოუსი გახლოვთ და  
მხოლოდ საუკეთესო რესტორნებში  
მისწოდოთ სუფრაზე. მას  
აშშაფერენ, როგორ  
აუტიურის ხოუსი,  
პომიდორებისა და  
ნინაუბისგან,  
მაღასებისა და  
სუნდულების  
ფამატერით.

უპრინაში,  
კამენკა-ფნეპის  
(ზაპოროევის  
ოლქი),  
ფაფგმულია  
ქეგლი  
სახელნოფერით  
„ფიდერა  
პომიდორი.“



მხოლოდიში  
წნობილია 2500  
კიბიზე მეტი

პომიდორი, ხოლო უველნლიურად 120  
მილიონ ტონაზე მეტ პომიდორს ზრდის.

# 16. შუალუკუნების კონტინენტი

## კონტინენტი

საგარაუდოდ, ყველა გოგონას სურს იყოს ლამაზი პრინცესა გრძელი მაქმანიანი კაპით, ყველა ბიჭს კი — ცხენები აქედრუბელი მამაცი რაინდი, შახეილითა და შუბით. ეს სახეები ჩვენთან შუასაუკუნებიდან მოვიდა. გულისტკივილს იწვევს, როდესაც თანამედროვე მოზარდებს არ შეუძლიათ ლამაზად და მკაფიოდ გამოხატონ თავიანთი აზრები და ღირსეულად ეჭიროთ თავი. ხშირად მათ არ ჰყოფნით სიტყვები, ამიტომაც იყენებენ უცემზურო გამონათქვამებს. მათვის არ უსწავლებიათ კარგი მანერები და სწორი მეტყველება. ძველ წიგნებში კი აღწერილია შუასაუკუნების დროს უბრალო, მაგრამ ღვთისმოშიშებითა და ამაღლებული გრძნობებით საუსე ცხოვრება.

სკოლებში გვასწავლიდნენ, რომ შუასაუკუნები „ბნელი საუკუნები“ იყო, კოცონების, წამებისა და დაუსრულებელი ომების დრო. ასე ნაძვილად იყო, მაგრამ ცოდნისა და განათლების XX-XXI საუკუნებში წამება, სისხლისღვრა და ძალადობა გაცილებით მეტია. საქართვისა ჩატოთ ტელევიზორი ანდა გადავშალოთ გაზეთი და ვნახავთ იმ საშინელებებს,



რაც ხდება დღეს პლანეტის სხვადასხვა აღგილას. გაეროს მონაცემებით, ჩვენს დღეებში ყოველწლიურად 25 ათასი ადამიანი კვედება შიმშილისგან და ყოველწლიურად არა ნაკლებ 250 ათასი ქრისტიანი ხდება რელიგიური დევნის მსხვერპლი.

შუასაუკუნებმა არ იცოდა ამ მასშტაბის სიკვდილიანობა. ყველაზე სასტიკმა, ესპანურმა ინკვიზიციამ თავისი



ცენტრული  
ეკონომიკური

ეკონომიკური მს. ე. ლეიტონი

არსებობის მანძილზე კოცონზე დაწევა დაახლოებით 32 ათასი ადამიანი. ხოლო ისტორიკოსების დათვლებით მეორე მსოფლიო ომის 5 წელიწადნახევრის მანძილზე, ფაშისტებმა მოკლეს და აწამეს დაახლოებით 11 მილიონი ადამიანი. ზოგიერთი დათვლებით კიდევ უფრო მეტი. ამიტომაც უფრო სწორი იქნებოდა ამ დროსათვის გვეწოდებინა ბნელი საუკუნები, ხოლო შუასაუკუნებისათვის, გაცილებით მისაღები ფასეულობების ხანა.

შუასაუკუნების დროს, როდესაც ჭირისა და ქოლერის ეპიდემიებს ათეულ ათასობით და ასეულ ათასობით ადამიანის სიცოცხლე მიპქონდა, მხოლოდ ეკლესია იყო მშვიდობისა და მოწყალების კერა. ბერები და მონაზენები ეპიდემიასთან ბრძოლის წინა ხაზზე იდგნენ, ხოლო ეკლესიები — მოწყალების პოვნის ერთადერთ აღგილს წარმოადგენდნენ სასტიკ გარემოში.






ქრისტიანობის ზემოქმედებით ველური მეომრები რაინდებად იქცნენ. რაინდი — არა შხოლოდ ცხენზე ამხედრუბული მეომარია აბჯრითა და მომარჯვებული შუბით — ის უპირველეს კოვლისა კეთილშობილებაა, თუგანწირგაა, დაღსულოვნება და მოწინააღმდეგის პატივისცემაა. რაინდები შხოლოდ ბრძოლაში მონაწილეობდნენ. მოხუცების, ქალებისა და ბავშვების მოკვლა უდიდეს სირცხვილად ითვლებოდა. რაინდებისთვის პატივი და ლირსება ოქროზე და ძალაუფლებაზე მაღლა იდგა. მაგალითად დატყვევებულ რაინდებს არასოდეს ყარაულობდნენ. თუ რაინდი ტყვევდ ბარედოდა და გამარჯვებულის მხრიდან შეწყალების იმედი პქონდა, არავითარ შემთხვევაში არ გაიპარებოდა. ამ ამონარიდი ლირსების რაინდული კოდექსიდან:



ცხადია, შუასაუკუნების დრო — ჯვაროსნული ლაშქრობების დროა, რომლის დროსაც ბევრი უმსგავსობა ხდებოდა. უფრო ხშირად ეს ბინძური პოლიტიკა იყო. ასეთ ლაშქრობებში ძალიან ბევრი ნამირალა მონაწილეობდა, მაგრამ მონაწილეთა უმრავლესობის მიზანი მთლიანად რელიგიური ხასიათის გახლდათ — მიეღწიათ და გაეთავისუფლებინათ წმინდა მიწები.

თუმცა ამგვარი მიზანი არანაირად არ შეესაბამება ჩვენი მოძღვრის — იქსოს სახარებისეულ ნორმებს. იგი ნებას არ იძლეოდა სამხედრო მეთოდებით დანერგილიყო ჭეშმარიტება. საქმე



რაინდების  
შერკინება.  
შუასაუკუნების  
მინიატურა

იმაში იყო, რომ შუასაუკუნების ქრისტიანობას დავიწყებული ჰქონდა ადრეული ეკლესიის ცხოვრების წესი. ჯვაროსნულმა ლაშქრობებმა სამარცხინო კვალი დატოვა ეკლესიის ისტორიაში. კიდევ უფრო საშინელი ლაქა გამოდგა ინკვიზიცია — მცდელობა განწერიდათ ეკლესია ე.წ. ერეტიკოსებისგან, პრაქტიკულად კი — ყველასგან, ვინც მიუღებელი იყო საეკლესიო ხელისუფლებისათვის.

რატომ დაუშვა უფალმა ეს კოველივე? შეიძლება იმიტომ, რომ თავისი მიმდვრებისთვის ეჩვენებინა ამქვეწინური წარმოდგენების სიყალბე სამართლიანობასთან დაკავშირებით, იმიტომ, რომ მათ აღექვათ და მიეღოთ მთაზე ქადაგების მაღალი იდეალები.




# რამდენად კარგად ისტობა ჩვენი

ვიქტორინა

ვიქტორინა შეადგინა ტ. გ.

ღმერთმა ჩვენი მსოფლიო ექვს დღეში შექმნა. თუდაპირველად დედამიწა იყო „უსახო და უდაბური“ (დაბ. 1:2), მაგრამ შემდეგ, ღვთის ნათქვამი სიტყვის თანახმად გაჩნდნენ მასზე ზღვები და ოკანები, ხმელეთი — ტყებითა და მთებით. მეტუთე დღეს უფალმა შექმნა თვეზები და ფრინველები. „აკურთხა ღმერთმა ისინი და თქა: „მოშენდით და იმრავლეთ, და გაავსეთ ზღვის წყლები, და ფრინველმა იმრავლოს მიწაზე“ (მუხ. 22). ბოლო, მეტებს დღეს „შექმნა ღმერთმა მხეცნი მიწისა თავ-თავისი სახისძა მიხედვით, და პირუტყვი თავ-თავისი სახისძა მიხედვით, და ქვემდრომი თავ-თავისი სახისძა მიხედვით. და დაინახა ღმერთმა, რომ ეს კარგი იყო (მუხ. 25).

მართლაც მშვენიერია ღმერთისგან შექმნილი ეს მსოფლიო! აი რამდენიმე მაგალითი, როგორი მდიდარი და მრავალფეროვანია ცხოველთა სამყარო პლანეტაზე. თქვენ კი ქვემოთ დაყენებულ კითხვებზე სწორი პასუხები უნდა ამოირჩიოთ.



1. დედამიწაზე სპილოების ორი სახე არსებობს — აზიური და აფრიკული. ორთვე სახეობას აქვს გრძელი ხორციელი, თუმცა ფურუბი სხვადასხვაზომის აქვთ როგორი ფიქრო, რომელს აქვს უფრო გრძელი ფურუბი?


- ა) აზიურ სპილოს
- ბ) აფრიკულ სპილოს

2. პინგვინები და თუთრი დათვები ისეთ ადგილებში ცხოვრობენ, სადაც ყოველთვის ბევრი თოვლია. გასაგება, რომ ასეთ ადგილებზე მნელია საკვების შოუნა. თუმცა საკითხავა, რატომ არ შეჭმეს თუთრმა დაათვებმა აქვადე გველა პინგვინი?

- ა) იმიტომ, რომ პინგვინები უფრო მკვირცხლები არაან და მათი დაჭრა ძნელია
- ბ) იმიტომ, რომ თუთრი დათვები არ ჭამენ ხორცს
- გ) იმიტომ, რომ პინგვინები და თუთრი დავები დედმიწის სხვადასხვა პოლუსზე ცხოვრობენ და არასოდეს ხედებიან ერთმანეთს

3. დინოზავრები, ვეგანერთულა ხერხე-მლიანიცხოველები, ჩვენი დროისა-თვის უკვე გადაშენდნენ. მაგრამ ისინი ოდესძალაც ცხოვრობდნენ დედამიწაზე. სად იქნა აღმოჩენილი დინოზავრის პირველი კარგად შენახული ჩონჩხი?

- ა) ამერიკაში
- ბ) აფრიკაში
- გ) რესერვში



# კატეგორიული ბეოფანატია სახურავის?

ნახატი ე. პ.



4. ჯუსტიციალიის გერბზე გამოსახულია ამ ქედზე ცხოველთა სამყაროს ორი წარმომადგენელი. რომელია ეს ცხოველები? (მცირე მინიშნება: არცერთს არ შეუძლია უკან სვლა.)

- ა) ოუთიფუში და პინგვინი
- ბ) ჰინგურუ და ფრინგველი ქმუ
- გ) ჟირაფი და კოალა

5. კატისებრთა ოჯახის შენგილია წარმომადგენლები მთელი დედამიწის ზურგზე ცხოვრიბენ — ტროპიკულ ტყეებში, მთებში, უდანოებში. იცი, კატისებრთა ოჯახის რომელ წარმომადგენელს შეიძლება შეხვდე ცთ, თოვლან ადგილებში?

- ა) ამურის ვეფუხეს
- ბ) ავაზას
- გ) ლომს

6. უცხლოა ოუთიფუში არუს მაღალ მტკეცე ნისკარტი მისცა, რომლითაც მას შეუძლია გატეხოს კველა, კრევიტი კაკალიც კი. ის იკვებება კიდეც ტატლების გულით, რაც გამოარჩევს არუს თავისი რეგიონის თუთიფუშებისგან. იცი სად ცხოვრობს არუს?

- ა) უდაბნო გობში, ჩინეთი
- ბ) ამაზონის ტროპიკულ ტყეებში (სამხრეთ ამერიკა).
- გ) აფრიკულ სავანაში


7. ზამინობით, აღლასკისა და კამჩატკის სანაპიროების, იმ ზღვის მცხოვრებლებსაც კა სციათ, რომლებისთვისაც ეს აღვიღები მშობლიურია. ამ დროს კუზიან ვეშაპები იქიდნ უფრო თბილ წელებში გადადიან, საღაც იძაღება კიდეც მათი შოამომაჯლობა. იცი, სად მდებარეობს კუზიანი ვეშაპების „საბატონ ბაღი“?

- ა) წერნარ ოკეანეში, ჰავაის ნაპირებზე
- ბ) ატლანტის ოკეანეში, ესპანეთისა და პორტუგალიის სანაპიროებზე
- გ) ინდოეთის ოკეანეში, დასავლეთ ავსტრალიასთან



## ნინა ბვეჩებაშის პასუხი

**1. აფრიკულ სპილოები.** სპილოებს არ შეუძლიათ გამოყონ ოფლი კანის მეშვეობით, ისე როგორც ადამიანებს. აფრიკული სპილოები ცხოვრობენ სავანების ცხელ სარტყელში და იქ, ისინი სიცხეს ვერსად დაემაღებან. ამიტომაც ოფლიანდებან თავიანთი დიდი ყურებით, რომლებიც მისცა მათ ღმერთიმა. აზიური სპილოები უკეთს მდგომარეობაში იმყოფებან: მათ შეუძლიათ დაემალონ სიცხეს ტყეში, ამიტომაც არ სჭირდებათ დიდი ყურები.



**2. იმიტომ რომ პინგვინები და თუთრი დათვები ცხოვრობენ დედამიწის სხვადასხვა პოლუსზე (თუთრი დათვები — ჩრდილოეთში, პინგვინები კი — სამხრეთში, ანუ ანტარქტიდაში).** თუმცა ორივეგან ცოგა. სხვათა შორის პინგვინების ყველა სახეობა არ იჩევს ცო რეგიონს. ზოგიერთი მათი თანამომებე, პირიქით, სითბოს მოყვარულია და ცხოვრობენ აფრიკის, ახალი ზელანდიისა და ავსტრალიის სანაპიროებზე.



**3. პირველი კარგად შენა-ზული დანოზურის ჩონ-ჩხი** ნაკოვნი იქნა შტატებში, ანუ ამერიკაში. 1858 წ. ზაფხულში. არქეოლოგმა უილიამ პარკერ ფულკმა აღმოაჩინა ის ნიუ-ჯერსიში.



### 7. ზამთრის დასაწყისში


**კუშიანი ვეშაპები,** რომლებიც აღიასებია და კამჩატკის სანაპიროებზე ცხოვრობენ, მიემართებიან წყნარი ოქანის თბილი წყლებისკენ, პავაის კუნძულების სანაპიროებისკენ, სადაც აჩენებ კიდევ თავიანთ შთამომავლობას. კუშიანი ვეშაპები ძუძუმწოვრები არიან. ზოგიერთი მათგანის ზომა 14-18 მ. აღწევს, წონა კი 30-40 ტონას. იკვებებიან კიბოებით, თევზებით და მოლუსკებით.



**4. ჰინგურუ და ემუ.** ყველაზე დიდი ფრინველი სირაქლემას შემდეგ. მართალია ის, რომ მათ არ შეუძლიათ უკან სიარული. სწორედ ამიტომ მოხვდნენ ისინი ავსტრალიის გერბზე: ამით ქვეყნას სურს ხაზი გაუსვას, რომ არ იყურება უკან, თავისი კოლონიალური წარსულისკენ, და თავდაჯერებული მიდის წინ.




**5. ამურის ვეფხვი.** ეს კატისებრთა ოჯახის ყველაზე მსხვილი წარმომადგენელია, და მას არ აშინებს სასტიკი ყინვაც კი. სამწუხაროდ მისი პოპულაცია მკვეთრად მცირდება, ამიტომაც ამურის ვეფხვი შეიტანეს წითელ წიგნში, ანუ მას იცავენ განადგურებისგან. გარულობები, რომ ჩვენს დროში, რუსეთის სამხრეთ აღმოსავლეთში, მდ. ამურის სანაპიროებზე, უსურიის, ხაბაროვსკისა და ზღვის პირა მხარეებში დარჩა 400-ზე მეტი ამურის ვეფხვი.



**6. ამაზონის ტროპიკულ ტკბებში** (სამხრეთ ამერიკა). ამ ადგილებში ბევრი თუთიყუში ცხოვრობს, და ყველა ისინი იკვებებან, ძირითადად, ზილით, ყვავილებით და ფოთლებით. ხოლო არუს საყვარელი კერძი — კაკლების გულია. ამიტომაც მისცა მას ღმერთმა ასეტი მაგარი ნისკარტი..





## იოსების ძალები

მმები იოსებს ცუდად მოექცნენ, ეგვიპტეში გაყიდეს. როცა მათ ქვეყანაში შიმშილი ჩამოვარდა, ისინი ჩავიდნენ ეგვიპტეში პურის საყიდლად. იოსებმა იცნო თავისი ძმები, მათ კი ვერ იცნეს ის. იოსებმა გადაწყვიტა მათი გამოცდა, აინტერესებდა შეიცვალნენ თუ არა ისინი, და დაადანაშაულა ქვეყნის დაზვერვაში. მაგრამ ძმები არწმუნებდნენ მას, რომ პატიოსანი ადამიანები იყვნენ (დაბ. 37:2-36; 41:41 - 42:11).

ე. მ.



ଶାର୍କରାଙ୍ଗ ଫାତିହିଙ୍କୁଳୀ 11 ନ୍ତରୀସ





მისია „შექი  
აღმოსავლეთში“

საბავშვო ქრისტიანული უურნალი  
გამოდის 1990 წლიდან.

მთავარი რედაქტორი:  
**ვალემარ ბახცელი**

რედაქციის მისამართი გერმანიაში:  
LICHT-IM-OSTEN, Postfach-1340,  
70809-Kotmal, GERMANY.

ტელ: 49 711 839908-23;

ფაქსი: 49 711 839908-4.

E-mail: ezom@lio.org

სკოლის დაწყებითი და შუა კლასების  
ბავშვებისათვის

ქართული გამოცემის რედაქტორი:  
ლუხუმ მაისურაძე

ქომპიუტერული დამუშავება:

დათო მაისურაძე, თაკო მაისურაძე

მისამართი: ქ.თელავი. დადიანის 8

ტელ: 551 22 02 60

ელ ფოსტა: lukhummaisuradze@yahoo.com

Facebook page: საბავშვო უურნალი „ბილიკი“

დაბეჭდილია სტამბა „სეზანი“

ISSN 1987-72 O X


UDC 0875050 (47922) ბ 676



ს. ტ



ა. ბ. ცაჟაინა



კ. ბ.

- ვ3. 15 გამოცანები: 1. ტიმოთე. 2. დანიელი. 3. ემაუსი. 4. ელისე.
- ვ3. 15 იპოვე და შეადგინე: 1. ქრისტე. 2. რებეკა. 3. იერიხონი. 4. სინაი. 5. ტაბითა. 6. ელეონი. 7. აარონი. 8. ლაი. 9. სინედრიონი. 10. დავითი. 11. გალილეა. 12. აშერი. ქრისტე აღსდგა
- ვ3. 18 რომელი პასუხია სწორი: 1. ა. 2. გ. 3. ბ. 4. ბ. 5. გ. 6. ა. 7. გ. 8. ბ.
- ვ3. 24 ბიბლიური პერსონაჟები: 1. ნოე. 2. იუდა. 3. ენოქი. 4. დავითი. 5. დანიელი. 6. იაკობი. 7. ელისე. 8. ზაქე. 9. ევა. 10. ანდრია. 11. სიმონი. 12. მოსე. 13. ნავე. 14. იესე. 15. იონა. 16. ნათანი. 17. ტიმოთე. 18. ლისტრა. 19. აბრაამი.
- ვ3. 25 ქროსეორდი: ჰორიზონტალური: 1. გეთსიმანია. 2. პეტრე. 3. იაკობი. 4. გოლიათი. 5. ნიკოდემოსი. 6. მოგვები. 7. ცეფორა. გერტიკალური: 1. სტეფანე. 2. პილატე. 3. იოსები. 4. ანგელოზი. 5. დანიელი.



ISSN1987-720X

A standard linear barcode is located in the bottom left corner of the page. It consists of vertical black lines of varying widths on a white background.

9 8771987 0720007 II